პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 121 (5671) 22 1976 წ. ივნისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი

ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი — ასეთია საქართველოს სამბისტთა ნადავლი ბარნაულის საკავშირო ჩემპიონატში.

ოქროს მედალი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოიპოვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, დინამოელმა იოსებ მაღალაშვილმა.

ვერცხლის პრიზიორი გახდა 74 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე აკაკი ოქროპირიძე (შეიარაღებული ძალები). მან წარმატებით განვლო წინასწარ შეხვედრათა სერია, დამაჯერებლად იასპარეზა ნახევარფინალში და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში შეხვდა „ტრუდის" წარმომადგენელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ფიოდოროვს. თავდაპირველად ძალები თანაბარი იყო, მაგრამ მე-4 წუთზე ოქროპირიძეს მხედველობიდან გამორჩა მეტოქის მანევრი. ამით კარგად ისარგებლა ფიოდოროვმა, მტკივნეული ილეთი ჩაატარა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

საინტერესო გამოდგა ბრძოლა ოქროს მედლისთვის მძიმე წონაში. აქ საკმაოდ თანაბარი ძალის კონკურენტები იყვნენ თავმოყრილი: შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ს. ვაკულენკო, ვ. საუნინი, ვ. კუზნეცოვი და პ. ანტონოვი, დინამოელი ვ. პლაკსინი და ვ. შკალოვი („ტრუდი"). განსაკუთრებით ძნელი გზის გავლა მოუხდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს კუზნეცოვს. მეორე ჯგუფში, სადაც ის ასპარეზობდა, სამმა ათლეტმა უჯარიმოდ დაამთავრა წინასწარი შეხვედრები. ამიტომ სულ რაღაც ორ საათში კუზნეცოვს მოუხდა მძიმე ბრძოლების ჩატარება თბილისელ გოგნაძესთან, ვაკულენკოსთან და პლაკსინთან. კუზნეცოვმა, მართალია, სამივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ გოგნაძესთან ბრძოლაში დაშავდა და ნახევარფინალში გამოსვლა ვერ შეძლო.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 36 წლის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საუნინი და 19 წლის დებიუტანტი შკალოვი.

წინადღით შკალოვმა დაამარცხა მრისხანე მეტოქე, მაგრამ გამოცდილმა საუნინმა შეძლო რევანშის აღება და გაიმარჯვა.

გაგაცნობთ ჩემპიონატის პრიზიორებს (პირველი სამი წონითი კატეგორიის პრიზიორთა გვარები უკვე დავბეჭდეთ).

62 კგ. 1. გ. ბირიუკოვი, 2. ნ. სტიროვი (ორივე — „დინამო"), 3. ა. ემიეჟი (შეიარაღებული ძალები) და ვ. პოგორელოვი („დინამო").

68 კგ. 1. კ. გერასიმოვი („დინამო"), 2. ა. სოლდატოვი („ტრუდი"), 3. მ. ლევიცკი („დინამო") და ა. ბაჟენოვი („ტრუდი").

74 კგ. 1. ა. ფიოდოროვი („ტრუდი"), 2. ა. ოქროპირიძე, 3. ა. იურჩენკო და ნ. კოზლენკოვი (სამივე — შეიარაღებული ძალები).

82 კგ. 1. ვ. ბიჩონკი, 2. ი. გერასიმოვი (ორივე — შეიარაღებული ძალები), 3. ვ. იურესკული („დინამო") და ვ. სოლოვიოვი („დინამო").

90 კგ. 1. ნ. მედვედევი („ტრუდი"), 2. ვ. ხრომოვი (შეიარაღებული ძალები), 3. კ. რომანოვსკი („ტრუდი") და ა. დაუროვი (შეიარაღებული ძალები).

100 კგ. 1. ა. პუშნიცა („დინამო"), 2. ა. ნოვიკი (შეიარაღებული ძალები), 3. კ. სიმაკოვი („ბურევესტნიკი") და ს. გორიუნოვი (შეიარაღებული ძალები).

მძიმ. 1. ვ. საუნინი (შეიარაღებული ძალები), 2. ვ. შკალოვი („ტრუდი"), 3. ვ. კუზნეცოვი და ს. ვაკულენკო (ორივე — შეიარაღებული ძალები).

თ. ჯოგაავა.

ჰოლანდიელი სტუმრები

საკავშირო სპორტკომიტეტის მოწვევით საბჭოთა ქვეყანაში სტუმრად არიან ჰოლანდიის სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი მუშაკები გენერალური მდივნის, დოქტორ ვ. ვან ზეილის, დირექციის წევრების ნ. გ. ფლოტისა და პ. მ. ვან დერ ჰარსტის შემადგენლობით.

გასულ შაბათს ისინი თბილისს ეწვივნენ. სტუმრებმა დაათვალიერეს სპორტის სასახლე, ჰადრაკის სასახლე, „დინამოს" სტადიონი, ცენტრალური ველოსტადიონი, იყვნენ მცხეთაში, გორში, დაათვალიერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ნახეს ქარხნის სპორტული მოედნები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ფედერაციების პლენუმებზე

მწვრთნელებსაც უსაყვედურეს

აკადემიური ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე თ. ფურცელაძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის დირექტორმა ნ. დუმბაძემ, მისმა მოადგილემ კ. მაისურაძემ, საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. ვაისბერგმა, ვაჟთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ო. ბერელიძემ, მწვრთნელებმა ნ. ვეუთიძემ (ბათუმი), ჯ. გოგლიჩიძემ (ქუთაისი), ჯ. ბუკიამ (ფოთი), კ. ხამხაძემ (მცხეთა), ლ. ხეცურიანმა (თბილისი), შ. დვალაძემ (სოხუმის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი), ვ. ყიფიანმა (მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე), ს. კალანდაძემ (საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ნიჩბოსნობაში).

პლენუმზე აღინიშნა საქართველოს ნიჩბოსანთა მიღწევები საანგარიშო პერიოდში, მაგრამ ყურადღება ნაკლოვანებებზე გამახვილდა. ესაა საწვრთნელი და საასპარეზო ბაზების უკმარობა, ინვენტარის სიმცირე, ამ სახეობის განვითარებისადმი ზოგიერთი სპორტსაზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება. ითქვა, რომ დამაკმაყოფილებლად მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლა, „ბურევესტნიკი", „განთიადი", „სპარტაკი" და განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტსკოლა მუშაობენ. ქუთაისში გაუქმდა „დინამოს" საბჭოს ჯგუფები. კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს ფოთის „ვოდნიკის", სიონისა და რუსთავის ბაზები, უნდა დაჩქარდეს კაპარჭინაზე „დინამოს" ბაზის მშენებლობა.

რესპუბლიკის ნიჩბოსანთა შედეგების ნელი ზრდა იმითაც არის გამოწვეული, რომ მწვრთნელების უმეტესობა სათანადოდ არ მუშაობს. 30 მწვრთნელიდან რესპუბლიკის ნაკრებს ყველამ თითო ძლიერი ნიჩბოსანი რომ მისცეს, საქართველო საკავშირო სარბიელზე ამ სახეობაში მუდამ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

ფედერაციის პლენუმმა მუშაობის გაუმჯობესებისთვის დასახა ღონისძიება და აირჩია ახალი შემადგენლობანი, რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს თ. ფურცელაძე, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — ვ. ყიფიანი, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარეებად: ქალთა შორის — ბ. ვაისბერგი, ვაჟთა შორის — ო. ბერელიძე, ტექნიკური კომისიის თავმჯდომარედ — გ. კეცხოველი, სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარედ — კ. მაისურაძე.

ც. ფიქიალაძე.

მთავარი საზრუნავი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა რესპუბლიკის ცხენოსნობის ფედერაციის გაფართოებული პლენუმი. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა ნ. ჭითანავამ.

პლენუმის მუშაობის კარდინალური საკითხი იყო საქართველოში ცხენოსნობის ტრადიციების აღდგენისა და შემდგომი განვითარების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება. მოხსენებით გამოვიდა ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე დ. წვერავა.

პრაქტიკული წინადადებები წამოაყენეს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა, თბილისის საცხენოსნო ბაზის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დ. მიხაილოვსკიმ, საცხენოსნო კლუბების უფროსებმა ვ. მაქაცარიამ (ფოთი), ნ. ლაბაშიამ (გალი), ლ. ლაშქარავამ (ცხაკაია), დ. წითლიძემ (აბაშა) და ჟურნალისტმა თ. გაჩეჩილაძემ.

პლენუმმა განიხილა საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო კლუბების ახალი დებულების პროექტი. მასში გათვალისწინებულია, რომ ამ კლუბებს სასოფლო საცხენოსნო კლუბები ეწოდოს. გადაწყდა ცხენოსნობის მასობრიობისა და პოპულარიზაციისთვის გაიხსნას ცხენების გამქირავებელი პუნქტები, ამუშავდეს მოყვარულთა ჯგუფები. პირველი ასეთი კერა ახლო მომავალში შეიქმნება თბილისის იპოდრომზე. ამ საქმეში მოქმე რესპუბლიკების გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისთვის გამოიყო სპეციალური კომისია. ოპერატიულად გადაწყდა კლუბებში დადგენილი რაციონის მიხედვით ცხენების საკვებით უზრუნველყოფის საკითხი. დამტკიცდა ფედერაციის სამუშაო გეგმა.

მოეწყო ფედერაციის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ჭითანავა, მოადგილედ — დ. წვერავა, პასუხისმგებელ მდივნად — თ. გაჩეჩილაძე, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — რ. კორძაია, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — ლ. დემეტრაძე.

პლენუმის მუშაობის შეჯამებისას ნ. ჭითანავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფედერაციის მთავარი საზრუნავი რესპუბლიკაში საცხენოსნო სპორტის ტრადიციების აღდგენა-განვითარება იქნება. კონკრეტული ღონისძიებები ჩატარდება ადგილობრივი ჯიშის ცხენების გადაშენებისგან დასაცავად, მოსავლის აღებასთან და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მოეწყობა შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

თ. ფეველი.

ფეხბურთი

19 45

◆ ბელგრადი, 21 ივნისი (საკდესის კორ.). იუგოსლავიის სპორტული კომენტატორები აღნიშნავენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების დამსახურებულ გამარჯვებას ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატში. „ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების ფინალურმა მატჩმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა, — წერს გაზეთი „სპორტი" და აღნიშნავს რომ ამ თამაშში „ბოლოს და ბოლოს სამართალმა პური სჭამა". ევროპის ჩემპიონატის ძირითადი ღირსება, „სპორტის" აზრით იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატთან შედარებით ფეხბურთმა ნაბიჯი გადადგა წინ. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა გვიჩვენა ტექნიკურად სრულყოფილი თამაშის სტილი, დასავლეთგერმანული გუნდი კი მოქმედებდა, როგორც „სახელგანთქმული, კარგად მოწესრიგებული მანქანა". გაზეთ „პოლიტიკის" სპორტული კომენტატორი ხაზგასმით წერს, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები „სავსებით სამართლიანად გახდა კონტინენტის ახალი ჩემპიონი" და, რომ ფინალური მატჩი მაღალი კლასით გამოირჩეოდა. „პოლიტიკა" და სხვა იუგოსლავიური გაზეთები აღნიშნავენ 34 წლის ჩეხოსლოვაკიელი მეკარე ი. ვიქტორის დიდებულ თამაშს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილის საუკეთესო მოთამაშედაა დასახელებული. ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს ევროპის სიმბოლური ნაკრები: ვიქტორი, დობიაში, ონდრუში (სამივე — ჩეხოსლოვაკია), ბეკენბაუერი (გფრ), კროლი (ჰოლანდია), ობლაკი (იუგოსლავია), ბონჰოფი (გფრ), პოპივოდა (იუგოსლავია), დ. მიულერი (გფრ), მასნი, ნეჰოდა (ორივე — ჩეხოსლოვაკია).

ცურაობა

ლონგ-ბიჩი, 20 ივნისი. ამერიკელ მოცურავეთა წინაოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრებაში 17 წლის კალიფორნიელმა ბრაიან გუდელმა 400 მ თავისუფალი სტილით 3 წუთსა და 53,08 წამში გაცურა — 0,44 წამით გააუმჯობესა თანამემამულე ტიმ შოუს მიერ შარშან დამყარებული მსოფლიო რეკორდი. ყოფილი რეკორდსმენი შოუ ფინალურ გაცურვაში ამჯერად მეორე იყო — 3.53,52.

პროგრამის ამ სახეობაში ქალთა შორის აშშ-ს რეკორდით გაიმარჯვა შირლი ბაბაშოფმა — 4.12,85. ეს მიღწევა მესამეა ცურვის ისტორიაში და მხოლოდ გდრ-ის წარმომადგენლების ბარბარა კრაუზეს (4.11,69) და პეტრა ტიუმერის (4.12,71) შედეგებს ჩამოუვარდება. მანამდე ბაბაშოფმა I ადგილები დაიკავა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

ადგილობრივი აუზი იღბლიანი გამოდგა ჯონ ნაბერისთვისაც, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.00,64. ძველი რეკორდი (2.01,87) როლანდ მათესს (გდრ) ეკუთვნოდა 1973 წლიდან.

სენსაცია ცისფერ ბილიკზე

ბერლინი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს: 14 წლის კაროლა ნიცშკემ (სპორტკლუბი „დინამო", ბერლინი) მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.11,93) და ამ სენსაციური წარმატებით მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა შორის დაიკავა ადგილი.

კაროლა ნიცშკე 1962 წლის 1 მარტს დაიბადა ბერლინში. იგი სამი წლის არ იყო, ცურვა რომ ისწავლა. ექვსი წლისამ პირველად მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში. ამ ერთი წლის წინათ იგი პირველად გამოვიდა საერთაშორისო შეჯიბრების სარბიელზე: ჟენევაში გაპართულ ევროპის იუნიორთა პირველობაში V და VIII ადგილები დაიკავა. წლეულს მარტში გდრ-ისა და ჰოლანდიის იუნიორთა შეხვედრაში კაროლამ საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მიღწევები, როცა 100 და 200 მეტრზე 1.14,59 და 2.41,22 აჩვენა. გდრ-ის ჩემპიონატში მოპოვებული სარეკორდო შედეგები, რა თქმა უნდა, ბოლო წარმატება არ არის მწვრთნელ როლფ გლეზერის მოწაფისთვის.

ფეხბურთი

ქულა პირველ მატჩში

გასულ შაბათს ბუდაპეშტის „ფერენცვაროშის" სტადიონზე გაიმართა ევროპის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩი უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, უნგრელები თავიანთ კოლექტივს იმ გეგმით აკომპლექტებენ, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღონ მონაწილეობა, ამიტომ მის შემადგენლობაში ეროვნული ნაკრების 6 წევრი გამოდიოდა.

მე-2 წუთზე კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ფეხი დაახვედრა ნილაშიმ და ანგარიში გახსნა. მასპინძლებს ერთხანს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ და სტუმრებმა მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს კონტრთამაშის შექმნა. ორჯერ პირისპირ დარჩნენ უნგრელთა მეკარე გუიდართან გუცაევი და სლობოდიანი და ორივე მომენტი უნაყოფოდ დაკარგეს. შემდგომში გუცაევი კიდევ ერთხელ გავიდა მარტოდმარტო უნგრელთა მეკარესთან და კარი ამჯერადაც გადარჩა.

საპასუხო გოლის გატანა 70-ე წუთზე შეძლო სლობოდიანმა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: უნგრეთი — გუიდარი, კერეკი, ბალინტი, ლუკაჩი, ებედლი, რაბი (კოვაჩი), მაიერი, ნილაში, საბო, პინტერი, მადიარი (ვარადი); სსრ კავშირი — რადაევი, კრუგლოვი, გორბუნოვი, ვისოკიხი, შვეცოვი, აჟემი (პეტრენკო), მინაევი, ანი, სლობოდიანი, გუცაევი, ყიფიანი (ოგანესიანი).

მსაჯობდა შოტლანდიელი გორდონი.

გაფრთხილებულია ყიფიანი.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა 23 ივნისს შედგება მოსკოვში. მატჩის მეორე ნახევარს ტელევიზიით გადმოსცემენ 22 საათზე და 30 წუთზე თბილისის დროით.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები — მოქმედებაში

ახალ საფეხურზე

საკავშირო სემინარის მონაწილის შენიშვნები

მაისის დამლევს უკრაინის დედაქალაქი კიევი მასპინძლობდა საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეებს — სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების საორგანიზაციო და კადრის მუშაკებს. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარგზავნილი 100-მდე სპეციალისტი ხუთი დღის განმავლობაში ერთმანეთს უზიარებდა მუშაობის გამოცდილებას. მოისმინეს ლექციები და მოხსენებები, ეწვივნენ საწარმოებს, მშენებლობებს, სპორტკლუბებს.

მოხსენებით — სპორტსაზოგადოებათა ამოცანები სკკპ XXV ყრილობისა და საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით — გამოვიდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხრომოვი. დამსწრეთა წინაშე თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშით წარსდგა რამდენიმე სპორტული ხელმძღვანელი მუშაკი.

ეფექტიანობა და ხარისხი, სპორტული ხუთწლედის ამოცანები, მასობრივი ფიზკულტურის ყველა რგოლის გაუმჯობესება — ეს იყო ამ სემინარის დევიზი.

რატომ იყო თათბირ-სემინარი განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი? რითი განსხვავდებოდა უწინ ჩატარებულთაგან? ორი სიტყვით ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ თვალში საცემია მოსმენილი თემების მიზანდასახულობა, კონკრეტულობა და სიცხოველე, საკითხის უჩვეულოდ დაყენება: პროფკავშირული სპორტის ყველა მუშაკი ვალდებულია გამოიჩინოს მაქსიმალური მონდომება, აქტიურად ჩაერიოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც სპეციალისტმა სხვებს გადასცეს თავისი ცოდნის მაქსიმუმი, მკვეთრად აიმაღლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პროფესიული დონე.

პირველად გაისმა საერთოდ პროფკავშირული სპორტის ამოცანების ახალი ფორმულირება. თუ წინათ, მიჰყვებოდნენ რა საერთო დინებას, მიზნად ისახავდნენ მხოლოდ ტიტულების მოხვეჭას, ოლიმპიური თუ მსოფლიო პირველობათა მედლების მოპოვებას, რეკორდების დამყარებას, მნიშვნელობას ანიჭებდნენ მიღწევებს, ამჟამად სიტუაცია ძირეულად შეიცვალა. მუშათა სპორტის ნამდვილი მასობრიობა, მაღალხარისხოვანი გამაჯანსაღებელი საქმიანობა და დასვენების ორგანიზაცია, მთელი მოსახლეობის, მშრომელთა ოჯახის წევრების, ყველა ასაკის და პროფესიის ადამიანების ფართოდ ჩაბმა ფიზკულტურულ კოლექტივებში და სპორტში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული ბაზებისა და მასობრივი დასვენების ადგილების მაქსიმალური დატვირთვა, ბუნებრივი კლიმატური პირობების გამოყენება, მშდ კომპლექსის პროპაგანდა და მისი შემდგომი დანერგვა — ასეთია სკკპ XXV ყრილობის მიერ ნაკარნახევი ახალი ეტაპი.

რა თქმა უნდა, შეჯიბრებათა რიცხვის მატება, მასობრიობის ზრდა, ახალი ძალების მოზიდვა უდავოდ აამაღლებს სპორტსმენთა ოსტატობის დონეს და მიიყვანს მათ ახალ მიღწევებამდე. ეს იქნება უმაღლესი მწვერვალი, რომლის საფუძველია ფართო მასობრიობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფკავშირული სპორტის კადრებთან მუშაობის საკითხს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას და „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდის თაობაზე" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას.

ეს მწვრთნელების, ინსტრუქტორების, მეთოდისტების, ხელმძღვანელების პირადი გეგმებიცაა. მაღალკვალიფიციური და ეფექტური სემინარები, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთინფორმაცია, ეს არის ყოველი ცალკეული პიროვნების ზრდა მეცნიერულ საფუძველზე, უმაღლესი მიღწევების გამოყენებით, საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულებით, შესრულების ურთიერთკონტროლით და შემოწმებით, ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრებით.

სემინარის ყველა მონაწილემ მიიღო მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული სრული ინფორმაცია სპორტული წვრთნის საკითხებზე (ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი ვ. პეტროვსკი), მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაზე (პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი ვ. პლატონოვი), აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და მართვის პრინციპებზე (პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი ი. ტეპერი), სპორტსაზოგადოებების საერთაშორისო კავშირებზე (პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს საერთაშორისო სპორტული კავშირების განყოფილების გამგის მოადგილე ლ. ზევალოვი).

1976-80 წლების პერსპექტული გეგმების შედგენის ანალიზი და ხარისხი, შრომითი კანონმდებლობა, სპორტნაგებობათა თანამედროვე მოწყობილობა, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება — ყველაფერი ეს იყო კიევის თათბირ-სემინარის მსჯელობის საგანი.

ალბათ ამიტომაც, იქ არ ყოფილა გულგრილი მონაწილე — აქტიურობა და თემატიკაში პირადი ჩარევა — ასეთი იყო აუდიტორიის რეაქცია.

სემინარის პროგრამაში იყო, აგრეთვე, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის საქმიანობის განხილვა. მოხსენებით გამოვიდა ამ სტრიქონების ავტორი.

უდავოა, რომ პროფკავშირული სპორტის მკვეთრი აღმავლობა, რომელიც სკკპ XXV ყრილობისა და საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმის პირველივე დღეებიდან დაიწყო, მუშაობას აიყვანს ხარისხობრივად ახალ საფეხურამდე, რისთვისაც აუცილებელია მთელი ძალით, ყველა შესაძლებლობისა და რეზერვის გამოყენებით ვიმუშაოთ.

ამ ამოცანათა დაყვანა ყოველ მუშაკამდე, აქტივის მობილიზება, ყოველი შრომითი წუთის ნაყოფიერი გამოყენება, — აი კეთილშობილური მიზანი კიევის თათბირ-სემინარისა, რომელიც „პირველი მერცხალი" გახდა ახალ გზაზე.

ბ. კოვალიოვი,
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
კიევი — თბილისი.

საშველი აღარ დაადგა...

საჩხერეში, სტალინის ქუჩაზე და მის გადამკვეთ ძნელაძისა და მელიქიშვილის ქუჩებზე ოთხი საერთო საცხოვრებელი სახლია. ექვსიოდე წლის წინათ კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის ხელმძღვანელობამ აქ კალათბურთის ერთი წყვილი ლითონის კონსტრუქცია მოიტანა, მაგრამ მას შემდეგ ეს კონსტრუქციები უქმად ცდება, წვიმამ და თოვლმა თუ ჟამთა სვლამ ჟანგით დაფარა.

ამ საკითხზე 1972 წელს გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი სათაურით „დაყარეს და მიატოვეს", რასაც ფოტოსურათიც ახლდა. მას შემდეგ თითქმის ოთხი წელი გავიდა, მაგრამ, კალათბურთის ლითონის კონსტრუქციის აწყობა-გამოყენებას საშველი აღარ დაადგა.

შეუფერებელ შენობაში

საჩხერეში სტალინისა და გრიშაშვილის ქუჩებზე მეოთხედ საუკუნეზე მეტია ფეხბურთის მინდორია და ამ მინდორზე ერთი ოროთახიანი შენობა დგას. შენობის ერთ ოთახში მუშაობა უხდებათ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტსა და ბავშვთა სპორტსკოლას, მეორე ოთახში კი „კოლმეურნის" რაიონული საბჭოა მოთავსებული.

ისედაც მოძველებული შენობა წლეულს დიდთოვლიანობამ დააზიანა. ორივე ოთახის ჭერზე ბზარები გაჩნდა და შეიძლება ჩამოინგრეს. ჩვენი აზრით, სამ სპორტულ ორგანიზაციას უკეთესი შენობა ეკუთვნის.

გაპარტახებამდე მისული...

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთის მინდორი მდინარე ყვირილის მარცხენა სანაპიროზეა მოწყობილი. ამ სამიოდე წლის წინათ მინდორს კიდევ არა უშავდა რა. ეტყობოდა მზრუნველი ხელი. შემდეგ კი იგი სულ გამოვიდა მწყობრიდან და ახლა გაპარტახების პირასაა. სვეთის ტერიტორიიდან დაღმართზე წამოსული წყალი მოდიდებულ მდინარესავით შეიჭრება ხოლმე მინდორზე და აფუჭებს მას. გარდა ამისა, ეს წყალი მეზობელ მოსახლეობასაც აწუხებს. როგორც გვითხრეს, მათ არაერთხელ მიუმართავთ ჭალის სასოფლო საბჭოსთვის თუ რაიონის ხელმძღვანელობისთვის, მაგრამ დახმარებას არავინ აპირებს.

იქნებ ამ წერილის გამოქვეყნებამ მაინც უშველოს საქმეს.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).
საჩხერე.

რაგბი 76

9:15, 6:15

შაბათსა და კვირას გამართული VII ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „სლავა" (მოსკოვი) 14:0, „ავტომობილისტი" (მოსკოვი) — „პოლიტექნიკი" (კიევი) 0:29, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (კიევი) 9:10, „უნივერსიტეტი" (ნალჩიკი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 15:9, „ფილი" (მოსკოვი) — „ივერია" (თბილისი) 15:6.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსა	7	7	0	0	144:35	14
„სლავა"	7	5	0	2	93:53	10
„ფილი"	7	5	0	2	60:66	10
„სპარტაკი"	7	4	1	2	91:49	9
„ლოკომ." მ.	7	4	0	3	92:62	8
„ივერია"	7	3	1	3	42:68	7
„პოლიტექნიკი"	7	1	2	4	65:89	4
„ავტომობილ."	7	2	0	5	61:91	4
„ლოკომ." თბ.	7	1	0	6	63:121	2
„უნივერსიტ."	7	1	0	6	55:132	2

ამას წინათ თბილისის არმიის სპორტკლუბის სტადიონზე საკავშირო პირველობის მატჩში ადგილობრივი „ივერია" ნალჩიკის „უნივერსიტეტს" შეხვდა და დაამარცხა იგი — 9:8.

* * *

სურათზე: მატჩის მომენტი, შეტევას იწყებს „ივერია".

ო. გელაშვილის ფოტო.

ფინიშის ციებ-ცხელება

საქართველოს ქალთა XXXIII ჩემპიონატის ფინალის ბოლოსწინა, XVI ტურში, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონობის პრეტენდენტთა პარტიები.

ც. კახაბრიშვილმა ქულა უბრძოლველად მიიღო: მისი მეტოქე — საქართველოს ჩემპიონი გოგონათა შორის ნ. ჩხაიძე გამოეთიშა შეჯიბრებას ავადმყოფობის გამო. ა. ჩაიკოვსკაია და თ. ხუგაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს და ჰოლანდიურ დაცვაში მწვავე თამაში გააჩაღეს, მაგრამ პარტია გადაიდო.

დიდი პათოსით თამაშობდა ნ. გურიელი. უფიმცევის დაცვიდან ს. კალანდარიშვილთან მან შემტევი პოზიცია ააგო და იერიშიც განავითარა. როცა გურიელმა ლაზიერით და კუთი ცენტრალური დიაგონალი დაიპყრო და ეტლით მეტოქის მეფის ბანაკში შეიჭრა, ფინალმაც არ დააყოვნა. 32-ე სვლაზე კალანდარიშვილმა ფარ-ხმალი დაყარა.

ნ. იოსელიანმა მოუგო ქ. გეგიძეს, ც. ქასოშვილმა (გორი) — რ. გეგიძეს. წარმატებით ითამაშეს დებმა მელაშვილებმა: ქეთევანმა დაამარცხა მ. წერეთელი, ნინომ — მ. მამისთვალოვა.

დაზავდნენ ნ. ხუბულური — ხ. გურგენიძე (რუსთავი), ლ. შელეგია ც. კობაიძესთან სათამაშოდ არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას (ეს შეხვედრები გუშინწინ გაიმართა ჭადრაკის სასახლეში) ხუგაშვილმა მოუგო ჩაიკოვსკაიასა და წერეთელს. ეს მისი ზედიზედ მეხუთე და მეექვსე გამარჯვება იყო.

კახაბრიშვილს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს გურიელთან გადადებულ პარტიაში, რომელშიც მას ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ იგი მოჭადრაკე გოგონას მხრიდან თავდადებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ბოლოს კახაბრიშვილს ზედმეტი მხედარი დარჩა, მაგრამ ამ უპირატესობის გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა. 89-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ქ. გეგიძემ და გურგენიძემ მოუგეს ქასოშვილს, ჩაიკოვსკაიამ — ნ. მელაშვილს. ხუბულურს მოგება ჩაეთვალა ჩხაიძესთან XV ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში.

XVI ტურმა და გადადებული პარტიების დამთავრებამ კიდევ უფრო გაართულა ბრძოლა ჩემპიონის სახელისთვის. 16 ტურის შემდეგ 12-12 ქულა აქვთ ც. კახაბრიშვილს, თ. ხუგაშვილსა და ნ. გურიელს, 11 — ა. ჩაიკოვსკაიას, 10-10 — ნ. იოსელიანსა და ქ. მელაშვილს.

თ. ნინოშვილი.

დასანანი წაგება

დონის როსტოვი, 21 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 6 ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. თ. გიორგაძე დამარცხდა ოსტატ ა. ვიტოლინშთან (რიგა). ეს პარტია ქართველ მოჭადრაკეს უარეს პოზიციაში ჰქონდა გადადებული.

VII ტურში გ. გურგენიძე შეხვდა სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონს, ჩელიაბინსკელ საერთაშორისო ოსტატ ე. სვეშნიკოვს. დაძაბული თამაშის შემდეგ პარტია, ქართველი დიდოსტატის აზრით, გადაიდო მისთვის მოსაგებ მდგომარეობაში.

დაუმთავრებელი დარჩათ პარტიები: გიორგაძეს — ოსტატ ვ. კუპრეიჩიკთან (მინსკი), ე. უბილავას — ოსტატ ვ. მურატოვთან (მოსკოვი) უარეს პოზიციაში და ზ. სტურუას — ოსტატ ე. ბუხმანთან (ლენინგრადი) რთულ სიტუაციაში.

ნ. ალექსანდრიას შეხვდრა ოსტატ ვ. დორომკევიჩთან (გროზნო) ყაიმით დამთავრდა. დ. ჯანოევმა მოუგო ტაშკენტელ ოსტატობის კანდიდატს ვ. აგზამოვს.

მეთოდური თამაშით ი. ჩიქოვანმა მოსაგები პოზიცია შექმნა ოსტატობის კანდიდატ ი. იანისთან (ესტონეთი), სწორედ ამ დროს მან ვერ შეამჩნია მეტოქის მხრიდან გარდაუვალი შამათის ან ფიგურის მოგების მუქარა. უიმედო თამაშს თბილისელმა ოსტატმა დანებება ამჯობინა.

7 ტურის შემდეგ კ. გრიგორიანს (მოსკოვი), ა. ვიტოლინშს, ა. მიხალჩიშინს (ლვოვი), ლ. ზაიდს (კიევი) 5-5 ქულა აქვთ, ვ. კუპრეიჩიკს — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ისევ „ტრიუმვირატი"

მანილაში, ფიდე-ს საზონათშორისო ტურნირში 6 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობენ ე. მეკინგი (ბრაზილია), ვ. ულმანი (გდრ) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 4,5-4,5 ქულა.

ჰორტმა სძლია ლ. პახმანს (გფრ), ხოლო მეკინგი და ულმანი დაუზავდნენ ლ. პოლუგაევსკის (სსრ კავშირი) და ო. პანოს (არგენტინა). პოლუგაევსკის 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, პანოს — 1,5 (1).

საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ცეშკოვსკიმ პირველი მარცხი აწვნევინა ს. კინტეროსს (არგენტინა) და 4 ქულით ლიდერებს კვალში მიჰყვება.

ბ. სპასკის (სსრ კავშირი) შეხვედრა ზ. რიბლისთან (უნგრეთი) 41-ე სვლაზე გადაიდო მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მატერიალური უპირატესობით. ახლა სპასკის 2,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ლ. ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) სძლია ს. მარიოტის (იტალია). ყაიმით დამთავრდა ი. ბალაშოვ (სსრ კავშირი) — ე. ტორეს შეხვედრა.

განაწილდნენ...

ამას წინათ ფიდე-ს ბიურომ განიხილა 1975-78 წლების ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირების ადგილის, დროისა და მოჭადრაკეთა განაწილების საკითხები.

საზონათშორისო ტურნირები ჩატარდება თბილისში და როზენდალში (ჰოლანდია) 26 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე. პრეტენდენტთა მატჩებში ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინასთან ერთად თამაშის უფლებას მიიღებენ თითოეული ტურნირიდან I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები.

თბილისში ითამაშებენ: კოზლოვსკაია, შული, ფატალიბეკოვა, ჩიბურდანიძე (ოთხივე — სსრ კავშირი), კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია), ბაუმშტარკი (რუმინეთი), ჰოფმანი, ფოისტელი (ორივე — გდრ), ივანკა (უნგრეთი), ვუიომევიჩი (კანადა), კელნერი (ავსტრალია), სევერაიდი (აშშ), იადოლაჰი (ირანი); როზენდალში: ბელავენეცი, ახმილოვსკაია, ფომინა (სამივე — სსრ კავშირი), ლაზარევიჩი (იუგოსლავია), კუშნირი (ისრაელი), ვერეცი (უნგრეთი), ლემაჩკო (ბულგარეთი), ნიკოლაუ (ჰოლანდია), ჰარტსტონ-მალიპეტროვა (ინგლისი), ორტონი (აშშ), დე კარო (კოლუმბია), ოლივეირა (ბრაზილია), ჯრინინიანი (იტალია).

ჩემპიონის „გაკვეთილები"

იაკუტსკი, 19 ივნისი. (საკდესის კორ. დ ბუბიაკინი). ადგილობრივი სპორტის მოყვარულებისთვის ჭადრაკის ზეიმად იქცა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვთან. მან წაიკითხა ლექციები და ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 21 დაფაზე. ამჯერად მისი მეტოქეები იყვნენ მირნის ალმასის მომპოვებლები. სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, დანარჩენი 18 შეხვედრა კი მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო. ამ ჩრდილოეთის რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში სტუმრობის პერიოდში კარპოვმა ერთდროული თამაშის ექვსი სეანსი ჩაატარა 130 დაფაზე.

მსოფლიო ჩემპიონის მოგზაურობა სსრ კავშირის ქალაქებში ჭადრაკის შემდგომ პროპაგანდას ისახავს მიზნად. იაკუტეთში კარპოვი ხვდებოდა და ესაუბრებოდა ჭადრაკის მოყვარულებს, ახალგაზრდულ კოლექტივებს, უამბობდა მათ ჭადრაკის მოწინავე ოსტატებთან თავისი მატჩების შესახებ.

ახლა კარპოვი „ჭადრაკის გაკვეთილებს" ჩაატარებს კამჩატკის მშრომელებთან.

ბოლო ხუთ წუთში

კუიბიშევი, 19 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქუთაისის „ლოკომოტივის" ბალახის ჰოკეისტები საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში აქ შეხვდნენ ადგილობრივ „სტარტს" და დამარცხდნენ ანგარიშით 0:2. ეს 2 ბურთი მასპინძლებმა ქუთაისელთა კარში გაიტანეს, როცა თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა.

ლ. ფაჩუაშვილი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

სრული უპირატესობა და... 1 ქულა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:2 (1:1).

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ჰოხონელიძე, ფარულავა (გაბიჩვაძე), ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ქვირია, ბურკაძე (შელია), ხერხაძე, ნოდია.

„სპარტაკი“: ბელეი, კაჩურა, კუშლიკი, ეგურანოვი, კოპიტჩაკი, ავდიში, რიბაკი, მუკომოლოვი, პალომარჩუკი, გოლუბცოვი (კოზინი), დირივი.

მსაჯი ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

ქუთაისის ტორპედოელთათვის დადგა სასტარტო წარუმატებლობათა გამოსწორების პერიოდი, მით უმეტეს, რომ მათ ზედიზედ აქვთ ჩასატარებელი მატჩები საკუთარ მინდორზე. სწორედ ახლაა საჭირო გამარჯვებათა მოპოვება, ვინაიდან გუნდს მოწინავე ჯგუფისგან არც ისე დიდი მანძილი აშორებს.

განვლილი მატჩი სპარტაკელებთან ამ საბრძოლო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო. გუნდმა იგი მაღალ დონეზე, სრული უპირატესობით ჩაატარა, და, თუ 2 ქულის ნაცვლად აიღო მხოლოდ ერთი, სტუმრები ამას უნდა უმადლოდნენ თავიანთი მეკარის ბელეის ნამდვილ სპორტულ თავგანწირვას, მეტოქის დაცვისა და მეკარის შეცდომებს, ამას გარდა, თავიანთი ლიდერის — დირივის ძლიერ თამაშს.

მატჩის დასაწყისი სპარტაკელებს კარვს არაფერს უქადდა: ახლოდან ააცდინეს კარს ჯერ ბურკაძემ, შემდეგ — ჩახუნაშვილმა, მაგრამ საკმარისი გახდა მე-7 წუთზე საპასუხო კონტრშეტევის განხორციელება, რომ გოლუბცოვმა კარგად ისარგებლა მცველთა შეუთანხმებლობით და ახლოდან დაარტყა — 1:0.

თანაფარდობა სულ მალე, რამდენიმე წუთში აღდგა, როცა ხერხაძის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და ნოდიამ დროზე მიუსწრო მას.

აქ დაიწყო ტორპედოელთა ხანგრძლივი, სახიფათო იერიშები, ნამდვილი შტურმი. ბელეის განუწყვეტლივ უხდებოდა უძნელესი ბურთების მოგერიება. საკმარისია ითქვას, რომ ხერხაძე ორჯერ ზედიზედ დარჩა მეკარესთან პირისპირ და ვერც ერთხელ ვერ გამოიყენა უაღრესად ხელსაყრელი მომენტი.

შესვენების შემდეგ ბელეიმ კვლავ იხსნა კარი ხერხაძესთან ორთაბრძოლისას. 59-ე წუთზე დირივიმ ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ დაარტყა კარში. გაბელიამ დააგვიანა და გაუშვა ბურთი.

63-ე წუთზე სტუმრების ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. ფარულავამ ანგარიში გაათანაბრა.

დარჩენილ დროში ქუთაისელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ვერც ერთმა დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:0, „თერგი“ (გროზნო) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“	14	9	4	1	23—11	22
„ფახტაქორი“	14	7	4	3	21—9	18
„ქაირათი“	13	6	6	1	12—5	18
„ტავრია“	14	7	2	5	23—12	16
„სპარტ.“ ი.-ფ.	14	5	6	3	14—11	16
„ნისტრუ“	14	5	5	4	18—14	15
„შინიკი“	13	6	3	4	14—14	15
„კოლხოზჩი“	14	6	3	5	17—22	15
„ზვეზდა“	14	5	4	5	19—18	14
„ტორპედო“	13	4	6	3	14—14	14
ასკ	15	6	2	7	16—17	14
„თერგი“	14	4	6	4	13—14	14
„პამირი“	14	4	6	4	9—13	14
„მეტალურგი“	14	5	3	6	16—14	13
„კუზბასი“	14	4	5	5	12—15	13
„სპარტ.“ ორ.	13	2	8	3	9—12	12
„დაუგავა“	14	4	3	7	17—16	11
„რუბინი“	14	2	5	7	6—16	9
„ყუბანი“	14	2	3	9	10—22	7
„სპარტ.“ ნ.	13	1	4	8	9—23	6

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — ევროპის ჩემპიონი

ბელგრადი, 20 ივნისი. (საკდესის კორ.). ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა ჩინებულად დაამთავრეს ევროპის ჩემპიონატი, დღეს ფინალური მატჩი მოუგეს მსოფლიო ჩემპიონს და აწ უკვე კონტინენტის ექს-ჩემპიონს — გფრ-ის ნაკრებს და ოქროს მედლები დაიმსახურეს.

საინტერესოა, რომ კონტინენტის ჩემპიონატის ყველა შეხვედრას იუგოსლავიის სტადიონებზე დასჭირდა დამატებითი დრო და ასე მოხდა გადამწყვეტ მატჩშიც: ჩეხოსლოვაკიელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (შვეჰლიკი, დობიაში), მაგრამ დ. მიულერმა გაქვითა 1 გოლი, მეორე ტაიმის ბოლო წამებზე კი ჰოლცენბაინმა მეორე ბურთიც გაიტანა — 2:2. დამატებით დროში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას.

ჩემპიონატის რეგლამენტის თანახმად, 22 ივნისს უნდა შემდგარიყო განმეორებითი შეხვედრა, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით წესი შეიცვალა და ევროპის ჩემპიონობის საკითხი გადაწყვიტა პენალტების სერიამ. აი, როგორ წარიმართა ეს 11-მეტრიანი დარტყმები: მასნი (ჩეხოსლოვაკია) — 1:0, ბონჰოფი (გფრ) — 1:1, ნეჰოდა (ჩეხოსლოვაკია) — 2:1, ფლოე (გფრ) — 2:2, ონდრუში (ჩეხოსლოვაკია) — 3:2, ბონგარცი (გფრ) — 3:3, იურკემიკი (ჩეხოსლოვაკია) — 4:3. აქ ჰიონესმა (გფრ) კარს ზემოთ დაარტყა, პანენკამ (ჩეხოსლოვაკია) კი გაიტანა მეხუთე პენალტი, რომელმაც მის გუნდს მოუტანა გამარჯვებაც და ჩემპიონობაც.

III ადგილისთვის ბრძოლაში ჰოლანდიელებმა წინა დღეს დამატებით დროში ანგარიშით 3:2 იუგოსლავიელებს სძლიეს.

II ლიგა I ზონა

19 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებაც ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ბრესტი) 3:2

ბათუმელები ახლა აღმავლობის გზაზე დგანან, რის შედეგადაც თანდათან მიუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელია ბრესტის თანაკლუბელთა გუნდი.

მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა და საინტერესო ბრძოლაშიც ჩატარდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პატარა პერიოდს, როცა მასპინძლებმა მოადუნეს თამაში და 2 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში, გუნდი მოქმედებდა ენერგიულად, კოლექტიურად და შეძლო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც ჩაეწერა აქტივში.

მასპინძელთა ხშირ იერიშებს ბრესტელები რამდენიმეჯერ გადაურჩნენ დასაწყისშივე, მე-16 წუთზე კი ესეგუა — გორგილაძის წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ოსაძემ. 35-ე წუთზე მან ბურთი აართვა ერთ-ერთ მეტოქეს, წინ გავიდა და მეორედ აიღო მეტოქის კარი.

55-ე წუთზე სარიშვილმა მინდვრის ცენტრიდან რეიდი წამოიწყო, რომელიც ძლიერი დარტყმით დაამთავრა — 3:0.

სწორედ აქ დაკარგეს კონტროლი რამდენიმე ხნით მასპინძლებმა, რამაც კირილოვს და სტუკს საშუალება მისცა გაექვითათ 2 გოლი.

ო. მურვანიძე.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ხიმიკი“ (გროდნო) 1:0

ვინაიდან ზუგდიდის სტადიონი დისკვალიფიცირებულია ორი მატჩით, ეს შეხვედრა ტყიბულის სტადიონზე გაიმართა. დინამოელებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს, მე-4 წუთზე კრესტიანინოვმა კარგად ითამაშა და დააწინაურა თავისი გუნდი.

ამ გოლმა მასპინძელთა გუნდს გამარჯვების იმედი ჩაუსახა. იგი მოქმედებდა თამამად, ხშირად უტევდა, ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მიეცათ გადელიას, ანტოსიევს.

შესვენების შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა კვლავ ზუგდიდელთა მხარეს იყო. გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ქვარაიას, გადელიას, გვიჩიანს. მატჩის დასასრულს რამდენიმე კონტრიერიში განახორციელეს გროდნოელებმა, მაგრამ „დინამოს“ დაცვამ ბერულავას მეთაურობით შეძლო ყველა ხიფათის უვნებელყოფა.

ზ. ჯორჯაძე.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მაშინოსტროიტელი“ (გომელი) 1:0

ბოლო რამდენიმე შეხვედრის წარუმატებლად დამთავრების შემდეგ მაღაროელებს მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ და გუნდმა არ დაზოგა ძალები მის მისაღწევად. მართალია, უზუსტო იყო გადამწყვეტი დარტყმები, რამდენიმეჯერ ჩაიშალა კარგი კომბინაცია, მაგრამ უპირატესობა მაინც მასპინძლებს ჰქონდათ.

59-ე წუთზე „მაშინოსტროიტელის“ საჯარიმო მოედანზე მცველებმა უხეშად ითამაშეს გაზაევის წინააღმდეგ, რისთვისაც ერევნელმა არბიტრმა დანელიანმა პენალტი დანიშნა. აქ თავი გამოიჩინა სტუმრების მეკარე კიშინსკიმ, რომელმაც აიღო მოზჟუხინის მიერ დარტყმული ბურთი.

87-ე წუთზე ანალოგიური მდგომარეობა გამეორდა: გაზაევი კვლავ მოცელეს და დანელიანმა მეორე პენალტი დანიშნა. ლოპატინის დარტყმამ ამჯერად მიზანს მიაღწია.

გ. ბარჯაძე,

სპორტის ოსტატი.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „გურია“ (ლანჩხუთი) — „სპერანცა“ (დროკია) 1:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დვინა“ (ვიტებსკი) 2:0, „დილა“ (გორი) — „დნეპრი“ (მოგილიოვი) 2:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:1, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“	14	9	3	2	25—8	21
„ჟალგირისი“	15	9	2	4	26—10	20
„დინამო“ ბრ.	14	7	4	3	23—12	18
„დინამო“ ბთ.	14	7	3	4	17—12	17
„დილა“	14	8	1	5	19—16	17
„პროგრესი“	14	6	5	3	14—15	17
„შირაკი“	15	7	2	6	19—18	16
„მაშინოსტრ.“	14	6	3	5	14—12	15
„ავტომობ.“	16	5	5	6	11—12	15
„დინამო“ ზ.	14	7	1	6	14—18	15
ფიზკ. ინსტ.	16	5	5	6	13—18	15
„მაღაროელი“	14	6	2	6	11—17	14
„ხიმიკი“	14	5	3	6	13—10	13
„ატლანტასი“	15	5	3	7	15—17	13
„დვინა“	14	4	5	5	10—12	13
„ლოკომოტივი“	14	5	2	7	12—17	12
„ზვეინიექსი“	14	5	1	8	12—17	11
„მეტალურგი“	15	4	2	9	12—20	10
„სპერანცა“	14	3	3	8	9—13	9
„დნეპრი“	14	2	3	9	6—21	7

ნორჩ დინამოელთა წარმატება

ოთხ თვეს გაგრძელდა სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის საქართველოს ზონაში, რომლის მონაწილე გუნდები დანაწილებული იყვნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში. წარმატებისთვის იბრძოდა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისა და ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების 21 კოლექტივი (1958-1960 წლებში დაბადებულნი).

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ წლევანდელი გათამაშება უწინდელთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე ჩატარდა. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ იყო მატჩების განზრახ დათმობის შემთხვევები — ჭაბუკი ფეხბურთელები იბრძოდნენ დიდი მონდომებით, კარგ სპორტულ დონეზე, კვალიფიციური იყო მსაჯობაც.

რა თქმა უნდა, ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ შეჯიბრებას არ ჰქონდა ხარვეზები. „ლელოში“ უკვე იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იყო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მაგრამ მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს. გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა თამაშები უნდა ეწყობოდეს ლამაზად გაფორმებულ, კეთილმოწყობილ სტადიონებზე, ტრიბუნებს არ უნდა აკლდეს მაყურებელი. ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთი რაიონის ფიზკულტურული ხელმძღვანელები ნაკლები ყურადღებით ეპყრობიან ნორჩთა ასპარეზობას, არა აქვთ გასახდელები და საშხაპეები, უვარგისია სათამაშო მინდორი, საფეხბურთო კარებს ხშირად დაფლეთილი ბადეები ჰკიდია...

გვინდა მოვიხსენიოთ ის მსაჯები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას. ესენი არიან: თ. ფანიაშვილი, ჟ. ძნელაძე, თ. ლაცაბიძე, მ. დუბროვინი, რ. ფანჯარაშვილი, ტ. ნიშნიანიძე, ა. აფრიდონიძე, თ. სადილიანი, გ. სეფიაშვილი, რ. წურქავა...

და აი, გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა გადამწყვეტი მატჩები საპრიზო ადგილების გასანაწილებლად. აქ ვლინდებოდა რესპუბლიკის ჩემპიონი, გარდა ამისა პირველი 3 ადგილი იძლეოდა საკავშირო ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას.

III ადგილისთვის იბრძოდნენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და გლდანის სკოლა-ინტერნატის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა — 3:1 (სკოლის დირექტორი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი, მწვრთნელი ჯ. ჯანელიძე).

კიდევ უფრო საინტერესო და მწვავე იყო ბრძოლა ჩემპიონობისთვის თბილისის ნორჩი დინამოელისა (სკოლის დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გაგუა, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე) და თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის (დირექტორი — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი შ. მერკვილაძე, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი თ. მელაშვილი) გუნდებს შორის. დინამოელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება ანგარიშით 3:2 და მოიპოვეს ჩემპიონის წოდება.

გუნდები დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

ამრიგად, ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკიდან ითამაშებენ თბილისის გუნდები: ნორჩი დინამოელი, განათლების განყოფილების სპორტსკოლა და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა.

ი. ბოჭორაძე,

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების განყოფილების უფროსი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნორჩი დინამოელისა და განათლების განყოფილების გუნდების ფინალური მატჩის მომენტი; საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის — თბილისის ნორჩი დინამოელი (უკანა რიგში მარცხნივ — ო. უშვერიძე).

მ. ზარგარიანის ფოტოები.

რამდენიმე სტრიქონით

საგარეჯო

სოფელ დიდ ჩაილურში მოეწყო მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. I ადგილი შეჯიბრების მასპინძლებმა დაიკავეს. II ადგილზე გავიდა საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლის გუნდი, III ადგილი წილად ხვდათ პატარძეულელებს. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: კურდღელაშვილი, ლოლაძე, საგინაშვილი, კვერაშვილი, ჰიაბერაშვილი, მუჩიაური, აღვინიშვილი, ბუგუტიშვილი.

ა. ტაბატაძე.

ამერიკელთა და ევროპელთა დუელი

გუშინ ლონდონის გარეუბან უიმბლდონში დაიწყო ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის კორტებზე — უიმბლდონის ტურნირი. ამ შეჯიბრების დაწყებამდე ტრადიციულად კენტის საგრაფოს ქალაქ ბეკნემში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი და, თუმცა ამავე დროს პარიზის „როლან გაროს" კორტებზე მიმდინარეობდა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი მიწის კორტებზე, ბევრმა სახელგანთქმულმა ჩოგბურთელმა ბეკნემში ჩასვლა არჩია, ვინაიდან იქაც ბალახის კორტებია, ისევე, როგორც უიმბლდონში, და ბეკნემის ტურნირი, თუ შეიძლება ითქვას, უიმბლდონის გენერალური რეპეტიცია გახლდათ. ამ ასპარეზობაში საბჭოთა ჩოგბურთელებმა ალექსანდრე მეტრეველმა და ოლგა მოროზოვამ მიიღეს მონაწილეობა. მათ ძალიან მრისხანე მეტოქეები ჰყავდათ ამერიკელების ჯიმი კონორსის, როსკო ტანერის, სტენ სმითის, შერონ უოლშისა და სხვების სახით.

პირველ წრეში მეტრეველმა ძალიან დაძაბულ შეხვედრაში სძლია მასპინძელს ჯონ ლოიდს — 4:6, 7:5, 7:5. მაგრამ მერე მოხდა ისე, რომ მეტრეველს შემდეგი ეტაპისკენ გზა გადაუღობა უიმბლდონის ჩემპიონობის ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა კონორსმა, რომელმაც ძალიან იოლად, სულ 40 წუთში დაამარცხა ჩვენი თანამემამულე — 6:1, 6:1.

მაგრამ არც კონორსს ეწერა ამ ტურნირის მოგება. ბრწყინვალედ მოთამაშე 24 წლის ტანერმა ნახევარფინალში 67 წუთში დაამარცხა სმითი (6:4, 6:4), ფინალში კი კონორსს სძლია (ნახევარფინალური შეხვედრა კონორსმა ანგარიშით 6:4, 8:6 მოუგო ახალზელანდიელ ონი პერანს).

დიდი წარმატებით იასპარეზა მოროზოვამ, რომელმაც ფინალის გზაზე ყველა მეტოქე იოლად ჩამოიცილა და ჩემპიონობაც არავის დაუთმო.

ახლა რაც შეეხება თვით უიმბლდონის ტურნირს. ოფიციალურად შეჯიბრება გუშინ დაიწყო, მაგრამ იმის გამო, რომ მონაწილეობის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდი იყო, საჭირო გახდა შესარჩევი ასპარეზობის მოწყობა (სარბიელზე გამოვიდნენ ჩოგბურთელები, რომლებსაც აქამდე უიმბლდონის „კორტებზე" წარმატება არ მოუპოვებიათ).

ეს შესარჩევი ეტაპი კარგად გაიარეს თბილისელმა თეიმურაზ კაკულიამ და მოსკოველმა ვადიმ ბორისოვმა. ხელი მოეცარა 20 წლის მოსკოველ კონსტანტინე პუგაევს, რომელსაც საკმაოდ იოლად მოუგო ავსტრალიელმა კოლინზმა.

ორიოდე სიტყვა მონაწილეთა შანსებზე ჩვენი აზრით, უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონს, 33 წლის ამერიკელ არტურ ეშს ძალიან გაუჭირდება თავისი წოდების შენარჩუნება. მას უპირველეს ყოვლისა მეტოქეობას გაუწევენ მისი თანამემამულეები კონორსი და ტანერი, აგრეთვე, პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი, 20 წლის შვედი ბიორნ ბორგი, არგენტინელი გილერმო ვილასი, მექსიკელი რაულ რამირესი და 25 წლის იტალიელი ადრიანო პანატა, რომელმაც ბოლო დროს დიდი ნახტომი გააკეთა წინ.

ქალთა შეჯიბრებაში, რომელშიც უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი, ამერიკელი ბილი-ჯინ კინგი არ მონაწილეობს, მეტოქეობა კიდევ უფრო მძაფრი იქნება. გამარჯვებისთვის იბრძოლებენ კინგის თანამემამულე კრის ევერტი, ავსტრალიელი ივონ კოული, შოტლანდიელი ვირჯინია უეიდი და მოროზოვა.

გუშინ პირველ წრეში თბილისელ ჩოგბურთელებს შემდეგი მეტოქეები შეხვდნენ: მეტრეველს — ამერიკელი ალექს მაიერი, კაკულიას — უნგრელი ბალაშ ტაროცი. უნდა ითქვას, რომ ტაროცი ახლა ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც ადასტურებს მისი შესანიშნავი თამაში საფრანგეთის ღია ჩემპიონატში: სხვა ცნობილ ჩოგბურთელებთან ერთად მან თვით ეში დაამარცხა — 5:7, 2:6, 6:4, 6:0, 6:4.

სხვა საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქეები პირველ წრეში იყვნენ: მოროზოვასი — ამერიკელი ენ კიომურა, ნატაშა ჩმირიოვასი — ინგლისელი გლინდა ტომპსონი. ბორისოვი შეხვდა იაპონელ კ. ჰირაის.

„ლელოს" მიმომხილველი.

• • •

სურათზე: რ. ტანერი ასპარეზობისას.

[illegible] ასპარეზი-76

● **მოსკოვი, 18 ივნისი.** გუშინ აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. მონაწილეობდნენ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, ფინეთის, გფრ-ის და საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენები. მასპინძლებმა გამოიყვანეს სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები, რუსეთის, მოსკოვის, ყაზახეთის, ლატვიის, საქართველოს, სომხეთის, ბელორუსიის, ლიტვისა და ესტონეთის კოლექტივები. პირად ჩათვლაში პირველი სამეული ასეთია: 1. ბ. მოსოლოვი — 5264 ქულა, 2. ბ. ონიშჩენკო (ორივე — სსრ კავშირი I) — 5234, 3. ვ. შმელიოვი (სსრ კავშირი II) — 5205. გუნდური გამარჯვება სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოიპოვა — 15582. შემდეგ არიან: სსრ კავშირი — II — 15290, რსფსრ I — 14863.

● **ჰელსინკი, 19 ივნისი.** ფინელმა მძლეოსანმა პოვინენმა 91,12 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი საუკეთესოა წლევანდელ მსოფლიოში.

● **მინსკი, 19 ივნისი.** სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდების აქ დამთავრებულ მატჩში ქულათა საუკეთესო ჯამი მრავალჭიდში მოსკოველმა ე. საადიმ დააგროვა — 77,75. II ადგილზეა მ. ფილატოვა (ლენინსკ-კუზნეცკი) — 77,05, ხოლო III — ს. გროზდოვა (დონის როსტოვი) — 77,0. სტუმართაგან საუკეთესო იყო ა. პოგლუდკოვა — 76,35 ქულა, VI ადგილი. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 397,0:390,75 გაიმარჯვეს. ცალკეულ სახეობებში საუკეთესონი იყვნენ: ბჯენითი ხტომა — ფილატოვა — 19,475; ორძელი — ფილატოვა — 19,375; ძელი — საადი, ფილატოვა, გროზდოვა — თითოეულს — 19,6; თავისუფალი ვარჯიში — საადი, გროზდოვა, ნ. შაპოშნიკოვა (დონის როსტოვი) — თითოეულს — 19,7.

● **ლენინგრადი, 20 ივნისი.** ბალაკოვოელმა სპიდვეისტებმა — ძმებმა ვლადიმერ და ვალერი გორდეევებმა მოიპოვეს მსოფლიო პირადი პირველობის ფინალის საგზურები (ჩემპიონატის ფინალი ხოჟუვში გაიმართება სექტემბერში) — ევროპის ზონის აქ გამართულ ფინალურ შეჯიბრებაში მათ 7-7 ქულა მოაგროვეს და შესაბამისად III და IV ადგილები დაიკავეს. გაიმარჯვა ე. მიულერმა (გფრ), რომელმაც სამივე სერია მოიგო და 9 ქულა დააგროვა. II ადგილზეა ი. შტანცელი (ჩეხოსლოვაკია) — 8 ქულა. როვნოელი გ. ხლინოვსკი (6 ქულა) ხოჟუვში სათადარიგო მრბოლელად წავა. კოკისპირული წვიმის გამო შეჯიბრება დროზე ადრე შეწყვიტეს და გამარჯვებული სამი სერიის ჯამში გამოვლინდა.

● **სოფია, 20 ივნისი.** ბულგარეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი მხატვრულ ტანვარჯიშში აქ საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 143,50:142,50. პროგრამის ყველა სახეობაში საუკეთესო იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის დიდი ვერცხლის მედლის მფლობელი, ომსკელი სტუდენტი გ. შუგუროვა: მრავალჭიდში — 29,40 ქულა, სალტით ვარჯიშში — 9,9, ლენტით — 9,75, ბურთით — 9,75. მრავალჭიდში II ადგილზეა მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკის წარმომადგენელი ი. დევინა — 28,8 ქულა. მესამე იყო ბულგარელი ვ. განევა — 28,75.

● **დურმერსჰაიმი, 20 ივნისი.** გფრ-ის სამხრეთში მდებარე ამ ქალაქის სტადიონზე დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი გაისმა მოტობურთში ევროპის მორიგი თასის გათამაშებაში გამარჯვებული საბჭოთა ნაკრების პატივსაცემად. ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და სსრ კავშირის მოტობურთელები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც მეექვსედ მოიპოვეს კონტინენტის თასი.

ქულათა მაქსიმუმით

კიევში დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შაბათს, დღისით გაიმართა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრებისა და იტალიელთა გამოტოვებული მატჩი. დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 6:6. საღამოს კი გაიმართა ტურნირის ბოლოსწინა დღის შეხვედრები. სსრ კავშირის ნაკრების უპირატესობა რუმინელებთან შეხვედრაში აშკარა იყო და მათ გაიმარჯვეს კიდეც—12:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: იტალია-ბულგარეთი 6:3, სსრ კავშირი II — კუბა 6:2.

კვირას გაიმართა დასკვნითი შეხვედრები. სსრ კავშირის ნაკრებს იტალიელებთან მატჩში ფრეც ჰყოფნიდა, რათა ტურნირში გამარჯვება მოეპოვებინა, მაგრამ საბჭოთა წყალბურთელებმა აღმავლობით ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:2, თუმცა ბოლო პერიოდამდე აგებდნენ — 1:2.

სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდისა და რუმინეთის ნაკრების მატჩს უნდა დაესახელებინა შეჯიბრების მესამე პრიზიორი. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა—8:6. ბოლო მატჩს ბულგარეთისა და კუბის ნაკრებ გუნდებს შორის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან დამარცხებული ბოლო ადგილზე რჩებოდა. გაიმარჯვეს კუბელებმა — 7:5.

საბოლოო ცხრილი ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრკ I	5	0	0	45:11	10
იტალია	3	1	1	30:19	7
სსრკ II	3	1	1	28:26	7
რუმინეთი	2	0	3	26:37	4
კუბა	1	0	4	19:38	2
ბულგარეთი	0	0	5	15:32	0

მიუდგომელი მწვერვალი

პაკისტანის ჩრდილოეთში მდებარე მწვერვალმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უმაღლესმა პიკმა გაშერბრუმ-II სამი იაპონელი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა. თორმეტკაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ის სამი მთამსვლელი იყო, იძულებული გახდა უარი ეთქვა მწვერვალის დაპყრობის შემდგომ ცდებზე.

შარშან ამ მწვერვალზე ასვლის დროს (სიმაღლით გაშერბრუმ-II 8035 მეტრია) ექვსი მთამსვლელი დაიღუპა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

სამაგალითო მაყურებელი

ამერიკის ქალაქ მაიამიში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „ტოროსი" და ნიუ იორკის „კოსმოსი". მატჩის დროს სტადიონზე შემოვიდა... სპილო, რომელზეც ნიღბიანი უცნობი იჯდა. პოლიციელებმა გადაწყვიტეს არაფერი ეთქვათ ამ საიდუმლოებით მოცული მხედრისთვის და ნება მისცეს ბოლომდე ეყურებინა თამაშისთვის.

მატჩისადმი მიძღვნილ ანგარიშში გაზეთი „მაიამი ნიუსი" წერდა: „მაყურებლებს ძალიან გამომწვევად ეჭირათ თავი. სპილო მათგან აშკარად გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებითა და სიდინჯით".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ

26-ე ტირაჟი მოგებათა დამატებითი ფონდით

650000 მანეთი — ასეთია მოგებათა დამატებითი ფონდი „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2-"-ის მორიგი ტირაჟისა, რომელიც 1976 წლის 30 ივნისს შედგება.

მოგებათა თანხა გაზრდილია იმ შემოსავლის ხარჯზე, რომელიც მიღებულია ზოგიერთი მოთამაშის მიერ ლატარიის წესების დარღვევის შედეგად („სპორტლოტოს" ყუთებში ბარათების ჩაშვების ვადების დარღვევა ან ბილეთების საფოსტო ყუთებში ჩაყრა).

ბარათების რეალიზაციით მიღებული ფულადი სახსრები ხმარდება მოგებათა განაწილებასა და ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას საბჭოთა ქვეყანაში.

იგებთ თქვენ — იგებს სპორტი!

„საქსპორტლოტო".



ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის „დინამოს" რეკონსტრუირებულ სტადიონს, რომელიც მომავალი საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებს. მაყურებელთა უკეთ მომსახურების მიზნით სტადიონზე გაკეთდება მეორე ტაბლოც, რომლისთვის საჭირო თანხა — 186000 მანეთი „საქსპორტლოტოს" შემოსავლიდანაა გადარიცხული.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02354